08 -12- 2009
ბანკი W1374
სულ: 444134

8.12.09

საქართველოს ბანკს

მოქალაქის: ლია თოდუა

მცხოვრები: [redacted]

მობ: [redacted]

განცხადება

მოგმართავთ თქვენი ბანკის მიერ ჩემთვის უსამართლოდ დაკისრებული ჯარიმების გაუქმების მოთხოვნით.

კერძოდ, საქმის გარემოებები ასეთია: მე მქონდა მაგთი-ბარათი №414051021295183. მისი მიღებისას ბანკის თანამშრომელმა ამიხსნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბარათი მაგთის სატელეფონო საუბრებისთვის კრედიტის გამოყენების უფლებას მაძლევდა, მანამ, სანამ ეს სატელეფონო კრედიტი 50 ლარს არ მიაღწევდა, მე ბანკისადმი დავალიანება არ წარმომეშობოდა და მაგთის სატელეფონო საუბრებში გახარჯულ თანხის დაფარვას ჩვეულებრივად, მონო-ბარათების საშუალებით შევძლებდი. ბარათის არსებობის მანძილზე მე მკაცრად ვაკონტროლებდი, რომ ეს პირობა შესრულებულიყო _ ჩემი დავალიანება მაგთისადმი 50 ლარს არც ერთხელ არ აცდენია და მე მას მონო-ბარათების საშუალებით ვფარავდი.

აქედან გამომდინარე, მე სრულებით უსამართლოდ მიმაჩნია ის გარემოება, რომ მე არავინ გამაფრთხილა იმის შესახებ, რომ როგორც კი ბარათს ვადა გაუვიდოდა (ანუ 2009 წლის თებერვლის ბოლოს), ამ მომენტისთვის არსებული მაგთის დავალიანებას მე მონო-ბარათით ვეღარ შევავსებდი და იგი ბანკის დავალიანებად იქცეოდა. თუკი მე ამის შესახებ ან ბანკი მაცნობებდა, მე საშუალება მექნებოდა ჩემთვის მოსახერხებელი მეთოდით _ მონო-ბარათებით დროულად დამეფარა მაგთისადმი დავალიანება და ბანკისადმი დავალიანება არ წარმომშობოდა. უფრო მეტიც, ამ დავალიანების წარმოშობის შესახებ ბანკმა დროულად საერთოდ არ მაცნობა, რამაც მე არ მომცა შესაძლებლობა უპროცენტოდ დამეფარა იგი: პირველი ესემესი ბანკიდან დავალიანების თაობაზე მე მივიღე მხოლოდ გადახდის დღის (თვის 19 რიცხვის) მომდევნო დღეს, ანუ 20 მარტს. ესემესის შინაარსი იყო სრულებით გაუგებარი: :"saqartvelos banki: tqvens sakredito baratze minimaluri gadasaxadi sheadgens 1.00USD. gadaxdis bolo vadaa 30.03.2009. gmadlobt". მე მაშინვე გადავრეკე ბანკში, რომ გამეგო, რას ნიშნავდა ეს გაუგებარი შეტყობინება (არასდროს მანამდე მე მსგავსი შეტყობინება ბანკიდან არ მიმეღო), მაგრამ ოპერატორმა უარი მითხრა ინფორმაციის მოწოდებაზე, ვინაიდან ვადაგასული საკრედიტო ბარათს სატელეფონო საინფორმაციო მომსახურება აღარ ეკუთვნოდა.

ამის შემდეგ, 20 აპრილს მე ბანკიდან კვლავ მივიღე გაუგებარი შინაარსისესემესი: "saqartvelos banki: tqvens sakredito baratze minimaluri gadasaxadi sheadgens 11.96USD. gadaxdis bolo vadaa 30.04.2009. gmadlobt". ვინაიდან ისევ ვერ გავიგე, რა ხდებოდა, მე 1 მაისს წერილობით მოვითხოვე ინფორმაცია ბანკიდან. პასუხი ბანკმა მხოლოდ 5 ივნისს გამცა. ამ პასუხიდან გავარკვიე, რომ 28 თებერვალს მე, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ჩამომჭრია მაგთისთან ნალაპარაკები თანხა 18,52 ლარი მაგთის ანგარიშიდან და წარმოქმნილა 10.98 დოლერის ტოლი ჩემი დავალიანება საქართველოს ბანკისადმი. მიუხედავად იმისა, რომ მე ინფორმაციის არც ტელეფონით არც ინტერნეტით გარკვევის საშუალება არ მომეცა, და წერილობით პასუხსაც ბანკმა 35 დღე მალოდინა, მან ამ თანხას დაამატა ჯარიმა 69 დოლარის ოდენობით და მომთხოვა 79,66 დოლარის გადახდა.

მიმაჩნია, რომ ბანკის ქმედებები უსამართლოა იმის გამო, რომ მე ბანკმა არ მომცა საშუალება:

- სრულად გამერკვია მომსახურების პიროებები ბარათის აღებამდე და მასზე დაფუძნებით გადამეწყვიტა, მსურდა თუ არა ამ ბარათით სარგებლობა
- დროულად შემეტყო დავალიანების შესახებ და დამეფარა იგი ჯარიმების და პროცენტების გარეშე
- დროულად გამერკვია დავალიანების საკითხი რათა არ დამკისრებოდა მაქსიმალური ჯარიმა.

ზემოაღნიშნულის გამო მიმაჩნია, რომ ბანკმა დაარღვია ჩემი, მომხმარებლის უფლებები. ვითხოვ, აღდგეს ჩემი დარღვეული უფლებები ჩემთვის უსამართლოდ დაკისრებული ჯარიმების გაუქმების გზით.

გთხოვთ მაცნობოთ ამ განცხადებაზე რეაგირების შესახებ.

8 დეკემბერი 2009 წ